თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 2

2016 წლის „10“ თებერვალი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

ესწრებოდნენ : საკრებულოს 32 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 30 დეპუტატი

მერაბ ხიზანიშვილი, ნ.ხვისტანი,ნ. ცაძიკიძე, გ.აზიკური, ნ.ჯანდიერი, მ.გრემელაშვილი, რ.ზოტკოველი, ი.ქევხიშვილი, ა.თუშიშვილი, ზ.მამალაშვილი, დ.თუშიშვილი, ბ.პაპაშვილი, გ.გორთამაშვილი,ზ.პარწიკანაშვილი, ტ.დარეჯანიშვილი, მ.თუშიშვილი, ვ.არაბული, ლ.მრელაშვილი, გ.მამუკელაშვილი, მ.ნაცვლიშვილი, გ.აივაზაშვილი, ზ.რაიბული, ზ.ლილუაშვილი, მ.მუსაევი, ნ.მაისურაძე, ს.ჩახუტაშვილი, ვ.გალახვარიძე, ზ.ზაზაშვილი, გ.სეხნიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მ.შაშიაშვილი.

საკრებულოს აპარატის უფროსი ს.მეგუთნიშვილი.

საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი ლ.საჩიშვილი.

საკრებულოს მთავარი სპეციალისტები: ს.ოხანაშვილი, მ.სოლომნიშვილი და ნ.ასანაშვილი.

თავმჯდომარემ დეპუტატებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მ.შაშიაშვილი

15.00სთ-დან - 15.15სთ-მდე

2. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ.მამუკელაშვილი

15.15სთ-დან - 15.30 სთ-მდე

3. საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება - მრეწველები" ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ზ.რაიზული

15.30სთ-დან - 15.45 სთ-მდე

4. სხვადასხვა

მოისმინეს: 1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მ.შაშიაშვილი

15.00სთ-დან - 15.15სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ვანო გალახვარიძე: მიმაჩნია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების განაწილებისა და განსახორციელებელი პროექტების შერჩევის დროს საკრებულოს წევრები, განსაკუთრებით მაჟორიტარი დეპუტატები მეტი აქტიურობით უნდა ჩაერთნენ ამ პროცესში. ადგილებზე არსებული აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში კი საჭიროა საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა გადამწყვეტი სიტყვა თქვან.

მაია ნაცვლიშვილი: არსებული რეკომენდაციების მიხედვით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები საკრებულომ უნდა შეარჩიოს, არ უნდა გამოვრიცხოთ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, თუნდაც ამისათვის საერთო კრებების ჩატარება გახდეს საჭირო.

მერაბ ხიზანიშვილი: მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესასრულებელი სამუშაოები, მხოლოდ სატენდერო პირობებით განხორციელდება, რაც ადრე გათვალისწინებული არ იყო.

პაატა გიორგობიანი: საკრებულოს დღევანდელ სხდომებზე დაყენებულ საკითხებზე ადრეც ხშირად ყოფილა მსჯელობა და უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი შედეგებიც ბევრჯერ დაფიქსირებულა, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოზე გაუმჯობესდა სადეპუტატო

კონტროლი. საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად კონკრეტული წინადადებები შემოიტანეს გულგულის, წინანდლის, ნაფარეულის საბავშვო ბაღებში და სხვა ობიექტების სამუშაოებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტებში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად. მიმაჩნია, რომ მიმდინარე წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს სოფლების ცენტრალური ნაწილის კეთილმოწყობა, ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა ყველა სოფელში.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 30 დეპუტატმა).

მოისმინეს: 2. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ.მამუკელაშვილი

15.15სთ-დან - 15.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: პაატა გიორგობიანი: უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს სოციალური, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ და მისმა თავმჯდომარემ გ.მამუკელაშვილმა მეტად ნაყოფიერი საქმიანობა გასწიეს. კომისიის უშუალო მონაწილეობით შემუშავდა 13 სოციალური პროგრამის პროექტი, გაიზარდა სოციალური სფეროს დაფინანსება, სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი მიეცა მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: 3. საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება - მრეწველები“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ზ.რაიბული

15.30სთ-დან - 15.45 სთ-მდე

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: 4. სხვადასხვა

4-1 - დავით თუშიშვილი: საჭიროა შემუშავდეს მექანიზმი სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვისათვის. ამისათვის შესაძლებელია გავითვალისწინოთ

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამოცდილება, სადაც წელიწადში ორჯერ ხდება სასაფლაოების კაპიტალური დასუფთავება.

4-2 - გიორგი აივაზაშვილი: ნაფარეულის ზონაზე ,,დელტაკომი" აწარმოებს კაბელების დაქსელვას არსებული ელექტრო ბოძებისა და თხრილების გამოყენებით,არანაირ გადასახადს არ იხდიან?

4-3 - მერაბ თუშიშვილი: ვარდისუბნის ტერიტორიაზე გაედინება თელავის სასმელი წყლის ქსელი, მიწის სავარგულების აღნიშნული ფართობი სოფლისათვის გამოუყენებელია და არც მისი პრივატიზაციაა შესაძლებელი. კომპენსაციის მიზნით, იქნებ შესაძლებელი იყოს აღნიშნული წყალსადენის ქსელით ნაწილობრივ ვარდისუბნის მოსახლეობამაც ისარგებლოს.

4-4 - ზაზა რაიბული: წინადადება შემომაქვს საკრებულოში დავაფუძნოთ საქველმოქმედო ფონდი, სადაც ნებაყოფლობით საფუძველზე შეგროვილი თანხა გადაეცემათ ეკონომიურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

აზრი გამოთქვეს: პ.გიორგობიანი: საკრებულოს წევრების მიერ დაყენებული აღნიშნული საკითხები საყურადღებოა. მე ვთხოვ შესაბამის კომისიებს შეისწავლონ ეს პრობლემები და წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი